



განათლების საერთაშორისო ცენტრის

2018

წლის ანგაჩიში

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

შინაარსი



განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა 2014 წელს და 2014-2018 წლებში 650-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. მათმა ნაწილმა უკვე დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა, დაბრუნდა ქვეყანაში და მიღებული ცოდნის რეალიზებას სამშობლოში განაგრძობს.

ცენტრის მიზანია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქეებმა საზღვარგარეთ მიიღონ საუკეთესო განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ მიღებული ცოდნის რეალიზება საკუთარ ქვეყანაში მოახდინონ. სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის დასრულების შემდგომ სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების კურსდამთავრებულები საქართველოში ბრუნდებიან და მოღვაწეობას განაგრძობენ შესაბამის სფეროში.

დაფინანსება გაიცემა კონკურსის წესით სამართლიანობის, შეჯიბრობითობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

განათლების საერთაშორისო ცენტრი ხელს უწყობს ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ცოდნისა და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას.

2018 წელს განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ განხორციელდა 9 პროგრამა, გაიცა 191 სტიპენდია, ბენეფიციართა საზღვარგარეთ სწავლა სახელმწიფოს მიერ 6 494 000 ლარით დაფინანსდა.

2018 წელს დაფინანსებული სტუდენტების 41% აგრძელებს სწავლას, 59% დაბრუნდა ქვეყანაში და დასაქმდა, ხოლო 11%-მა ისარგებლა სამუშაო გამოცდილების მიღების უფლებით და უცხოეთში, შესაბამის სფეროში, 1 წლის ვადით სამსახური/პრაქტიკა დაიწყო.

ქვეყანაში დაბრუნებულ კურსდამთავრებულთა ინიციატივით 2018 წელს შეიქმნა „ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“, რომელიც მიზნად ისახავს როგორც კურსდამთავრებულთა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას, ასევე ექსპერტული დახმარების აღმოჩენას, სოციალური პროექტების და საზოგადოებრივი პროგრამების ჩამოყალიბებასა და დანერგვას, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ახალგაზრდა სპეციალისტებისა მობილიზებასა და დამატებითი საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში.

მოახმავე ქნი ცოდნა საქართველოში!

სამომავლოდ განათლების საერთაშორისო ცენტრი უკვე არსებულ და კარგად შემუშავებულ სასტიპენდიო და პროგრამულ სქემებთან ერთად გეგმავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პროგრამულ განვითარებას: 5 წლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, ცენტრი დიდ დროს უთმობს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რიგი სასტიპენდიო სქემები 2019 წელს ახალ ვადებში გამოცხადდება, რაც საკონკურსო პროცესის პროგრამის მონაწილეთა ინტერესებზე მორგებას ემსახურება. პროგრამული ვადების ოპტიმიზაცია საერთო საკონკურსო პერიოდს შეამცირებს, მაგრამ ამავდროულად ორჯერ გაზრდის სტუდენტისთვის საჭირო სააპლიკაციო ვადას, რაც კონკურსში მეტი ხარისხიანი აპლიკაციის მიღების საწინდარია.

2019 წელს ცენტრი დამატებით ორი საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამის გამოცხადებას გეგმავს. პროგრამები „იტალიის რექტორთა საბჭოსა“ და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული ან ნაწილობრივი თანადაფინანსებით განხორციელდება. ქართულ-იტალიური პროგრამა 10-მდე მაგისტრს, ხოლო სან-დიეგოს უნივერსიტეტის თანამშრომლობის პროგრამა 10-მდე დოქტორანტს დააფინანსებს 2019-2020 სასწავლო წლებში. საპილოტე პროგრამების ხარჯზე ცენტრს 20-მდე სტიპენდიატი დაემატება. 2019 წელს ცენტრი საქართველოში არსებულ ბიზნესთან თანამშრომლობით გეგმავს ახალი სასტიპენდიო სქემის გამოცხადებას ბიზნეს ადმინისტრირების დარგში, სადაც 5-10 სტიპენდია სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად და პროფესიული გადამზადებისთვის გაიცემა. პროგრამა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ბიზნეს ადმინისტრირების დარგი არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით და კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის ფარგლებში (PPP) პირველად შედგება.

ნინო ჭელიძე

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

სასტიპენდიო პროგრამები

საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 24 აპრილის №17-18 ბრძანებით „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“ დამტკიცების შესახებ“.

2018-2019 სასწავლო წლისათვის კონკურსის წესით საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 54 მოქალაქე.

სტატისტიკა მიმართულებების მიხედვით:

- ✍ აგრარული მეცნიერებანი - 2
- ✍ განათლება - 2
- ✍ ინჟინერია - 4
- ✍ მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი - 5
- ✍ სოციალური მეცნიერებები - 12
- ✍ ჰუმანიტარული მეცნიერებანი - 5
- ✍ სამართალი - 10
- ✍ არქიტექტურა - 2
- ✍ საჯარო მმართველობა - 3
- ✍ მენეჯმენტი - 4

სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით:

- 🇷🇺 აშშ - 4
- 🇧🇪 ბელგია - 5
- 🇩🇪 გერმანია - 6
- 🇬🇧 დიდი ბრიტანეთი - 20
- 🇪🇸 ესპანეთი - 1
- 🇪🇹 ესტონეთი - 1
- 🇮🇹 იტალია - 1
- 🇰🇪 კანადა - 1
- 🇱🇮 ლიტვა - 1
- 🇱🇻 ლიხტენშტაინი - 1
- 🇳🇪 ნიდერლანდები - 3
- 🇸🇪 საფრანგეთი - 1
- 🇭🇺 უნგრეთი - 4
- 🇵🇪 შვედეთი - 3
- 🇷🇺 შვეიცარია - 1
- 🇬🇪 ჩეხეთი - 1



აგრეთვე, შესაბამისი მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელდა გასულ წელს შესაბამისი მიმართულების ორ წლიან სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსებულ 21 სტიპენდიატს.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები 2018-2019

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 24 აპრილის №18-18 ბრძანებით „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები 2018-2019“ დამტკიცების შესახებ“.

2018-2019 სასწავლო წლისათვის კონკურსის წესით საზღვარგარეთ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 4 მოქალაქე.

☞ გერმანია - 1

☞ აშშ - 2

☞ საფრანგეთი - 1

აგრეთვე, შესაბამისი მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელდა გასულ წელს/წლებში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსებულ 14 სტიპენდიატს.

საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2018-2019

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 24 აპრილის №18-19 ბრძანებით „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2018-2019“ დამტკიცების შესახებ“.

2018-2019 სასწავლო წლისათვის კონკურსის წესით საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 5 მოქალაქე.

სტატისტიკა მიმართულებების მიხედვით:

☞ საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები - 75

☞ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები - 18

☞ საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები - 9

☞ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა - 10

☞ სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში - 14

☞ ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამა - 12

☞ სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ - 51

☞ სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის - 2

☞ ტრენინგის პროგრამა - “უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია” - 93

აგრეთვე, შესაბამისი მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელდა გასულ წელს/წლებში შესაბამისი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსებულ 4 სტიპენდიატს.

საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამადლების პროგრამა 2018-2019

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 24 აპრილის N20-18 ბრძანებით „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამადლების პროგრამა 2018-2019“ დამტკიცების შესახებ“.

2018-2019 სასწავლო წლისათვის საზღვარგარეთ, არაუმეტეს 3 თვის ხანგრძლივობის კვალიფიკაციის ამადლების პროგრამაზე კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 10 მოქალაქე.





- ✎ ჩეხეთი - 2
- ✎ ესპანეთი - 1
- ✎ აშშ - 2
- ✎ გერმანია - 1
- ✎ ავსტრია - 1
- ✎ დიდი ბრიტანეთი - 2
- ✎ ნიდერლანდები - 1



სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2018-2019

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის №4-18 ბრძანებით „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2018-2019“ დამტკიცების შესახებ“.

2018-2019 სასწავლო წლისათვის კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 7 მოქალაქე საფრანგეთში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ შემდეგ პროგრამულ მიმართულებებზე:

-  მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი - 2
-  სამართალი - 1
-  საჯარო მმართველობა - 1
-  მენეჯმენტი - 3

აგრეთვე, შესაბამისი მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელდა გასულ წელს შესაბამისი მიმართულების ორ წლიან სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსებულ 7 სტიპენდიატს.

2018-2019 ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამა

საქართველოსა და აშშ-ს მთავრობებს შორის 2016 წელს განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2018-2019 სასწავლო წლისათვის აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 12 მოქალაქე.



სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ 2018-2019

პროგრამა დამტკიცებულია “სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ 2018-2019“ დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 16 იანვრის N 3-18 ბრძანების საფუძველზე.

2018-2019 სასწავლო წლისათვის პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 51 მოქალაქე.

სტატისტიკა აკადემიური საფეხურების მიხედვით:

✍ ბაკალავრიატი - 23

✍ მაგისტრატურა - 28



სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის 2018

პროგრამა დამტკიცებულია “სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის - 2018 “ დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 10 მაისი N22-18 ბრძანების საფუძველზე.

2018-2019 სასწავლო წლისათვის შეირჩა 2 სტუდენტი შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამის კურსებზე დასასწრებად:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „Politics of South Caucasian States after the dissolution of the USSR.“

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „დიგიტალური ჰუმანიტარის VII საერთაშორისო საზაფხულო სკოლის“ კურსი.

საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამა დამტკიცებულია ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 12 თებერვლის N6-18 ბრძანებით „საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

ტრენინგი ჩატარდა ოთხ ფაზად ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის იეჰუდა ელკანას ცენტრის ტრენერების მიერ.

I ფაზა - ჩატარდა 2018 წლის 12-16 თებერვალს საქართველოში, ქ. თბილისში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ცენტრის პარტნიორი საქართველოს ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 57 აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

II ფაზა - ჩატარდა 2018 წლის 8-13 აპრილს უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ცენტრის პარტნიორი საქართველოს ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 25 აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

III ფაზა - ჩატარდა 2018 წლის 8-12 ოქტომბერს საქართველოში, ქ. თბილისში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ცენტრის პარტნიორი საქართველოს ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 36 აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

IV ფაზა - ჩატარდა 2018 წლის 11-16 ნოემბერს უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ცენტრის პარტნიორი საქართველოს ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 24 აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, 2018 წლის 18-19 ივლისს განხორციელდა უნგრეთის ტემპუსის საზოგადოებრივი ფონდის ექსპერტების ვიზიტი სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრში. ექსპერტები შეხვდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, მინისტრის მოადგილეებს, აგრეთვე, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს. 19 ივნისს ცენტრში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის თემატიკაზე, სადაც მონაწილეობა მიიღო ცენტრის პარტნიორი 6 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და განათლების სფეროში მოქმედი საჯარო დაწესებულებების 35-მდე წარმომადგენელმა.

უნიკალური შანსი ქიმიითა და ბიოქიმიით დაინტერესებული სტუდენტებისთვის

4 მაისს განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ჭელიძემ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მდრამემ, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვილიამ ტონგმა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ვოლტერ ოშელიმ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესში საერთაშორისო თანამშრომლობის დანერგვას, განმტკიცებას და განვითარებას და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებას, ქართველი სტუდენტების აკადემიურ საქმიანობაში მხარდაჭერას სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კალიფორნიის კამპუსში.

მხარეები ერთობლივად ითანამშრომლებენ საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს მოქალაქეებისთვის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოქიმიის მიმართულების ბაკალავრის შემდგომ საფეხურებზე, როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შემდეგ განათლების საერთაშორისო ცენტრი უზრუნველყოფს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსებას, ერთი წლის მანძილზე 10 000 აშშ დოლარით.

თავის მხრივ, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის და ბიოქიმიის ფაკულტეტი უზრუნველყოფს განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებულ სტუდენტებს სწავლებასთან დაკავშირებული დასაქმებით, სამაგისტრო პროგრამებზე ნახევარ განაკვეთზე 16 050 აშშ დოლარის ანაზღაურებით და 20 004 აშშ დოლარის ანაზღაურებით სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის, ერთი აკადემიური წლის მანძილზე.

მემორანდუმი ძალაში იქნება ექვსი წლის განმავლობაში.



თანამშრომლობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ცენტრის კურსდამთავრებულებს შორის

16 მაისს, განათლების საერთაშორისო ცენტრში, ცენტრის კურსდამთავრებულებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი შეხვდა.

მაია ცქიტიშვილმა და სამინისტროს წარმომადგენლებმა კურსდამთავრებულებს დეცენტრალიზაციის პროცესსა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დამატებითი ფუნქციების გადაცემის შესახებ უამბეს.

საუბარი დიალოგის რეჟიმში წარიმართა. სამინისტროს წარმომადგენლებმა და კურსდამთავრებულებმა იდეები გაცვალეს. შეთანხმდნენ, რომ პირველი პროექტი, რაზეც ერთობლივად იმუშავებენ, სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან ტრენინგების ჩატარება და საზაფხულო ბანაკებში სწავლების კომპონენტის გააქტიურება იქნება.

განათლების საერთაშორისო ცენტრში გამართულ შეხვედრაზე მაია ცქიტიშვილმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა სტუდენტებს და ახლადშექმნილი ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე თანხმობა განაცხადა.



ტემპუსის საზოგადოებრივი ფონდის უმაღლესი განათლების ექსპერტთა ვიზიტი

18 - 19 ივნისს, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინიციატივით განათლების საერთაშორისო ცენტრში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ორდღიანი სემინარი გაიმართა.

სემინარი უნგრეთიდან მოწვეულმა ტრენერებმა, გაბორ დობოშმა - უნგრეთის ტემპუსის საზოგადოებრივი ფონდის პროგრამის “ისწავლე უნგრეთში” ხელმძღვანელმა და უმაღლესი განათლების ექსპერტებმა- ორსოლია ჯანოსიკმა, პროფესორმა იოზეფ ტემეშმა და მარია დუდასმა ჩაატარეს.

ექსპერტებმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 50-მდე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შეფასების ის მეთოდოლოგია და ცოდნა გაუზიარეს, რომელსაც წარმატებით იყენებენ უნგრეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. დღის ბოლოს, ექსპერტებმა და სემინარის მონაწილეებმა ინტერნაციონალიზაციის შეფასების მოდელები მრგვალი მაგიდის ფორმატში განიხილეს.

ტრენინგები ცენტრის საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მიზნად ისახავდა საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას, რაც აკადემიურ სივრცეში დასაქმებულებს ახალი ცოდნისა (თემატური, საგნობრივი) და ეფექტიანი მართვის/ ადმინისტრირებისთვის საჭირო კომპლექსური უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობას მისცემს.

შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

13 ივლისს განათლების საერთაშორისო ცენტრში სასტიპენდიო პროგრამებში შეფასებისა და შერჩევის მექანიზმების განხილვისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო, ცენტრის საქმიანობის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, განათლებაში გამჭვირვალობის, სერვისების ხელმისაწვდომობის, მოქალაქეების ჩართულობისა და ღია მმართველობის (Good Governance) უზრუნველყოფა.

შეხვედრას დაესწრნენ უმაღლესი განათლების ექსპერტები, (Institut Français de Géorgie (FR), Stipendium Hungaricum (HU), Fulbright Scholarship (US), კონკურსანტთა უფლებების დამცველი ტიმოტი ბარეტი, ცენტრის კურსდამთავრებულები და საკონკურსო კომისიის წევრები.

ცენტრის ხელმძღვანელმა, ნინო ჭელიძემ, კოლეგებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ზოგადი ჩარჩო, სასტიპენდიო პროგრამის პრიორიტეტები გააცნო. წარმოადგინა 7 სასტიპენდიო სქემა, დაგეგმარებისა და მართვის, შეფასებისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (Management Information System, MIS) სასტიპენდიო პროგრამების პოლიტიკა, ამოცანები, მიზნები და მიმდინარე შედეგები.



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

16 ივლისს იტალიის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოსა და იტალიის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტის სასახლეში საქართველოსა და იტალიას შორის რამდენიმე დოკუმენტს მოეწერა ხელი. მათ შორის იყო ურთიერთგაგების მემორანდუმი სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრსა და იტალიის უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს შორის. ცენტრის სახელით მემორანდუმს ხელი მოაწერა აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ჭელიძემ, ხოლო იტალიის უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს სახელით, „ლაკვილას“ უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა, პაოლა ინვერადიმ.

იტალიის უნივერსიტეტების რექტორთა საბჭო არის როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო, სამართლებრივად აღიარებული იტალიის 82 უნივერსიტეტის კერძო ასოციაცია. ამ შეთანხმების ფარგლებში მხარეები ხელს შეუწყობენ საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისთვის სასტიპენდიო პროგრამების განხორციელებას, საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის, მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროში 2016-2020 წლებში ორმხრივ აკადემიურ თანამშრომლობას.



სტიპენდიატთა ყოველწლიური ფორუმი - 2018

განათლების საერთაშორისო ცენტრმა 2018 წლის 19-21 ივლისს გუდაურში, სასტუმრო „მარკო პოლოში“ განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიატთა ყოველწლიური ფორუმი გამართა.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიატთა ყოველწლიური ფორუმი მიზნად ისახავს სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების შეხვედრასა და გაცნობას, მათი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს როგორც კურსდამთავრებულმა, ასევე 2018-2019 სასწავლო წლის ხუთი სასტიპენდიო კონკურსის გამარჯვებულებმა.

ორდღიანი კონფერენციის განმავლობაში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ცენტრის მიმდინარე პროგრამებსა და დაგეგმილ პროგრამულ ცვლილებებს უმაღლესი განათლების გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ჭრილში, შეფასებისა და შერჩევის სტრუქტურასა და პარამეტრებს, პრიორიტეტებს, სასტიპენდიო სქემების მსგავსებასა და განსხვავებებს შორის.

კონფერენციის განმავლობაში შედგა შეხვედრები კომისიის წევრებთან/სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, კურსდამთავრებულებთან, სადაც სტუდენტებმა ცენტრის ბენეფიციარებისგან მიიღეს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რჩევები და გაეცნენ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესის თავისებურებებს.

კონფერენციამ ორი დღის მანძილზე სტუდენტებს 5 სესია შესთავაზა. კონფერენციის ერთ-ერთი სამუშაო სესია ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის დაფუძნებასა და საქმიანობას, ფორმატს და სამომავლო გეგმებს დაეთმო. განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის პრეზენტაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი დაესწრნენ.



მიხეილ ბატიაშვილის შეხვედრა განათლების საერთაშორისო ცენტრის 2018 წლის სასტიპენდიო კონკურსის გამარჯვებულებსა და ცენტრის კურსდამთავრებულებთან

27 ივლისს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის 2018 წლის სასტიპენდიო კონკურსის გამარჯვებულებსა და ცენტრის კურსდამთავრებულებს შეხვდა და მათ კონკურსში გამარჯვება მიულოცა. შეხვედრას დაესწრნენ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში მიხეილ ჩხენკელი და ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ჭელიძე.

ცენტრის სტიპენდიატებმა დამსწრე საზოგადოებას თავიანთი სამომავლო გეგმები და მიზნები გააცნეს, ასევე წარადგინეს „ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“, ისაუბრეს მის ამოცანებსა და საჭიროებებზე.

შეხვედრაზე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მათთვის საინტერესო თემებზე კითხვები დაესვათ მინისტრისთვის და მისგან ამომწურავი პასუხები მიეღოთ.



ტრენინგები განათლების ინტერნაციონალიზაციის თემაზე

მიმდინარე წლის 8 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით, ცენტრის პარტნიორი უნივერსიტეტების ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თემაზე ტრენინგები ჩატარდა. ტრენინგები ჩატარეს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების იეჰუდა ელკანას ცენტრის ექსპერტებმა - პუშა ნასტასემ (Pusa Nastase - Yehuda Elkana Center for Higher Education) და მატაშმა საბომ (Matyas Szabo - Yehuda Elkana Center for Higher Education).

„იეჰუდა ელკანას უმაღლესი განათლების ცენტრი“ (the Yehuda Elkana Center for Higher Education) არის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) კვლევითი ცენტრი, რომელიც უმაღლესი განათლების საერთაშორისო ექსპერტებთან და მკვლევარებთან ერთად მუშაობს განათლების პოლიტიკის, პროფესიული განვითარების პროგრამებისა და საკონსულტაციო ინიციატივების შემუშავებაზე.

ტრენინგები მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესახებ მონაწილეთა ცოდნის ამაღლებას, ეროვნულ და ინსტიტუციურ კონტექსტში გამოწვევების გაანალიზებას.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

ტრენინგის 40-მდე მონაწილემ 10 სესიის განმავლობაში იმუშავა შემდეგ თემებზე: რანჟირება და სტანდარტების დადგენა უმაღლეს განათლებაში, უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საზღვარგარეთ, საერთაშორისო რეკრუტირების წამახალისებელი და შემაფერხებელი პოლიტიკა, სტუდენტური ცხოვრება და სტუდენტების ხელშეწყობა, საერთაშორისო კურსდამთავრებულთა ქსელების მართვა, კურიკულუმის შექმნის საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები, თვითშეფასება და ჯგუფური პროექტები.

რეგიონული საინფორმაციო კამპანია

2018 წლის 3-დან 10 დეკემბრის ჩათვლით განათლების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლებმა და უნგრეთის საელჩოს მისიის უფროსის მოადგილე - ანიკო ფარკაშმა რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს. საინფორმაციო შეხვედრების მთავარი თემა იყო უნგრეთში 2019-2020 სასწავლო წლის სასტიპენდიო პროგრამა „Stipendium Hungaricum“.

აღნიშნული პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებისთვის პრეზენტაცია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა. ასევე სტუდენტებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს შემდეგი აკადემიური წლის ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამაზე (Fulbright Graduate Student Program), რომელიც ითვალისწინებს აშშ-ის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის სრულ დაფინანსებას ყველა დისციპლინაში, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამის კანდიდატთა შერჩევას აწარმოებს საქართველოში ამერიკის საელჩო, განათლების საერთაშორისო ცენტრი და საქართველოს ბანკი.

„განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“ 2018 წელს ჩამოყალიბდა. ასოციაციის დაფუძნების ოფიციალური ღონისძიება 17 ოქტომბერს გაიმართა, სადაც ასოციაციის დამფუძნებლებმა ცენტრის სხვა კურსდამთავრებულებს გააცნეს ასოციაციის წესდება, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ღონისძიებას დაესწრნენ განათლების საერთაშორისო ცენტრის 2018 წლის კურსდამთავრებულები და ცენტრის სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამის ბენეფიციარები. ამავე ღონისძიებაზე შედგა ასოციაციის „მრჩეველთა საბჭოს“ წევრების წარდგენა და დაფუძნების დოკუმენტზე ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია.

ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლები, კერძოდ,

✍ მაია ცქიტიშვილი - ვიცე-პრემიერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

✍ მიხეილ ჩხენკელი - პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში;

✍ ლევან დავითაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი; მიხეილ ბატიაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;

✍ ნინო ჭელიძე - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

✍ ნინო ზამბახიძე - ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე;

✍ საბა ბუაძე - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი;

✍ სოსო გალუმაშვილი - საკონსულტაციო კომპანია “ჯეპრას” პარტნიორი;

✍ ჟან ფრედერიკ პოლსენი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ასოციაციის მისიაა სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიული ხელშეწყობა კურსდამთავრებულთა ჩართულობით, გამოცდილების გაზიარების, ინსტიტუტების განვითარების, პრიორიტეტული პროექტების განხორციელების, კავშირების დამყარებისა და გაძლიერების გზით.

ასოციაციის მიზნებია: კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა და გაძლიერება; ასოციაციის წევრთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; განვითარებაზე ორიენტირებული კვლევებისა და კონსულტაციების განხორციელება; საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა.

ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

✍ განათლება და მეცნიერება;

✍ ეკონომიკური განვითარება;

✍ ადამიანის უფლებები;

✍ კულტურა;

✍ საერთაშორისო ურთიერთობები;

✍ გარემოს დაცვა;

✍ რეგიონული განვითარება.

სამომავლოდ ასოციაცია არაერთი პროექტისა და საინტერესო ღონისძიების განხორციელებას გეგმავს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისა და მისიის შესაბამისად.

განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის კარიერული ფორუმი

14 დეკემბერს განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის ორგანიზებით კარიერული ფორუმი გაიმართა.

ფორუმში მონაწილეობა ასოციაციის 60-მდე წევრმა და 25-მდე კერძო თუ სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებმა და წარმომადგენლებმა მიიღეს. ფორუმს ასევე დაესწრნენ ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრები ვიცი პრემიერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია ზედგენიძე და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე.

კურსდამთავრებულებს და სტუმრებს განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ჭელიძემაც მიმართა: „განსაკუთრებით მინდა, რომ ეს დღე დავიმახსოვროთ, რადგან კარიერული ფორუმი - ასოციაციის ორგანიზებული პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება და ინიციატივაა, რომელიც ძალიან ბევრ საზოგადოებრივ საქმეს დაუდებს საფუძველს“.

ღონისძიების მიზანია ცენტრის კურსდამთავრებულთა დაახლოება მათთან პროფესიულად დაკავშირებულ ორგანიზაციებთან.

ფორუმი უკვე მესამედ გაიმართა. ფორუმზე ახალგაზრდა პროფესიონალებმა, რომლებმაც განათლება და გამოცდილება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიიღეს, საკუთარი გამოცდილება, თანამშრომლობისა და ჩართულობის შესაძლებლობები გაუზიარეს მონაწილე ორგანიზაციებს და თავადაც გაეცნენ მათი საქმიანობის სპეციფიკას.



განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობა

- ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა
- ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება და ადმინისტრირება;
- ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;
- ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ცენტრის კომპიუტერული ქსელის სისტემების მართვის უზრუნველყოფა;
- ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და ბუღალტრული საქმიანობის წარმართვა.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცენტრის დამტკიცებულმა გეგმამ 7,745,300.0 ლარი შეადგინა.

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის 2018 წლის ასიგნებების ფარგლებში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელია 92.16 %

ცენტრის სტიპენდიატები

თამაშით გაცნობილი ქართული ანბანი

ენების ევროპულ დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ევროპული ენების დეპარტამენტმა შემოგვთავაზა საკუთარი ქვეყნის შესახებ მოგვეთხრო კაუნასის რ. რაუდონდვარის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებისთვის. მაშინვე გამოვხატე მონაწილეობის სურვილი. პრეზენტაციის გარდა მოსწავლეებს არაერთი საინტერესო აქტივობა შევთავაზეთ, მათ შორის, თამაშით გაგაცანით ქართული ანბანი და გრაფემების მოხაზულობა. მოსწავლეებში საქართველომ დიდი ინტერესი გამოიწვია, სურვილი გამოთქვეს ესწავლათ ქართული ცეკვა, წარმოეთქვათ ყველაზე „რთული“ ბგერები. ყველგან „საქართველო“, „ლიეტუვა“, „მეგობარი“ ისმოდა, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საზღვარგარეთ სწავლა არა მხოლოდ ხარისხიანი განათლების მიღებას ნიშნავს, არამედ შესაძლებლობასაც, გახდე შენი ქვეყნის კულტურის გამავრცელებელი და ხელი შეუწყო მის პოპულარიზაციას.

ნათია ბობაქოვალი

(2018-2019 სასწავლო წლის საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის სტიპენდიატი, ლიეტუვა, ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებანი).



კომპოზიტორი, რომელიც ფილმებისთვის საუნდტრეკებს წერს.


მივიღე მაგისტრის წოდება, როგორც კინოსა და ვიდეოთამაშების მუსიკის კომპოზიტორმა. ახლა მუსიკას ვწერ ესპანური კომპანიის ვიდეოთამაშისთვის. პარალელურად, შესაძლებლობა მომეცა ჩამოვყალიბო ორკესტრი, რომელიც ჩაწერს მუსიკას კინოს, თამაშებისთვისა და სხვა მედიისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ორკესტრი გვქონდეს საქართველოში და ამაზე ვმუშაობ აქტიურად.

ძალიან ინტენსიური და საინტერესო წელი იყო. ყოველ ორ კვირაში ერთხელ ჩაწერა გვქონდა. ძალიან მაგარია, როცა უსმენ შენს მუსიკას საუკეთესო მუსიკოსების შესრულებით, მათი რჩევებით ძალიან ბევრი ვისწავლე.

სასწავლო გარემო ძალიან კარგია. კამპუსი ძალიან მაგარია. კურსზე სულ 28 მოსწავლე ვიყავით მსოფლიოს 18 ქვეყნიდან. ბერკლი იღებს რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის სტუდენტს, რათა პროფესორებს სტუდენტებისთვის შეეძლოთ მეტი დროის მიძღვნა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა იქ სწავლის შესაძლებლობა. დღემდე ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი, ლამაზი და რთული წელი იყო. ბევრ შესანიშნავ ადამიანს დავუმეგობრდი, ძალიან მომენატრება ყველა, მაგრამ თანაკურსელები და პროფესორები შევთანხმდით, რომ მომავალში გავაგრძელებთ საქმიან ურთიერთობას და მეგობრობას.

ლუაა ლაბანიძე

(2017-2018 სასწავლო წლის საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებული, ესპანეთი, ბერკლის სამუსიკო კოლეჯი)



ოსლოს მუსიკის აკადემია და გეგმებად ქვეული ოცნებები

თბილისში სწავლის დასრულების შემდეგ, გადაწყვიტე გამეგლო მეორე მაგისტრატურა 3D აუდიოს მიმართულებით. საბუთები შევიტანე და მოვხვდი 31 აპლიკანტიდან 2 შერჩეულ კანდიდატს შორის, ოსლოს მუსიკის აკადემიაში, ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული ბრიტანელი არტისტის – ნატაშა ბარეტის კლასში, რომელიც აკადემიაში მხოლოდ რამდენიმე წლით, მოწვეული პროფესორის სტატუსით იმუშავებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებ ისეთ ფესტივალებზე, სადაც ვარ პირველი წარმომადგენელი საქართველოდან. შესაბამისად, მუდმივად ჩნდება ინტერესი როგორც თავად ქვეყნის, ასევე ექსპერიმენტული ელექტრონული მუსიკის მიმართ საქართველოში.



ჩემი პირველი და ყველაზე მთავარი გეგმა ელექტრო აკუსტიკური მუსიკის კონფერენცია-კონკურსის გამართვა და ყველა იმ საერთაშორისო კონტაქტის გამოყენება, რასაც ვაგროვებ წლების განმავლობაში, რაც ხელს შეუწყობს ამ მიმართულების განვითარებას და კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს ქვეყნის მიმართ. მსურს, საორგანიზაციო ჯგუფი მთლიანად კონსერვატორიის მუსიკალური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებით იყოს დაკომპლექტებული, რაც მათ ძალიან მნიშვნელოვან გამოცდილებას შესძენს. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა და იმედი მაქვს, მომეცემა მისი განხორციელების საშუალება.

მარია ოვინიაჰვილი

(2018-2019 წლის საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამის სტიპენდიატი, ნორვეგია, ნორვეგიის მუსიკის აკადემია)

ბალანსი სწავლასა და ყველაფერ დანარჩენს შორის.

ვცხოვრობ კალიფორნიის შტატში, პატარა და წყნარ ქალაქ მონტერეში. დღე, როგორც წესი, დილის 6-7 საათზე, მეცადინეობით იწყება. ვცდილობ კვირაში რამდენჯერმე ვირბინო, უნივერსიტეტში წასვლამდე. 10 საათიდან მაქვს ლექციები. დღეში 4 ან 6 საათი. ამას გარდა, მაქვს ჯგუფურ პროექტზე სტუდენტებთან და პროფესორებთან ცალკე სხვადასხვა საკითხზე შეხვედრები. იმის გამო, რომ ძალიან ხშირია უნივერსიტეტის ეგიდით მოწყობილი საინტერესო ღონისძიებები, რომლებსაც ვესწრები ხოლმე, სამეცადინოდ საღამოს 6-7 საათამდე ვერ ვიცლი. ლექციების, შეხვედრების და ღონისძიებების შემდეგ საღამოს 10-11 საათამდე ბიბლიოთეკაში ვარ და ვმეცადინეობ. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, მეგობრები მოკლე დროით შეკრებასა და დასვენებას მაინც ვახერხებთ.



ყველაზე საინტერესო არის ის, რომ პირველ სემესტრშივე რამდენჯერმე ისეთი დავალება დავწერე, ან ისეთი ლექცია გავიგე კარგად, 3 თვის წინ რომ წარმოუდგენელი იქნებოდა. ძალიან მოკლე დროში პროგრესს რომ ნათლად ხედავ, მოტივაციაც გიძლიერდება. რთულია ბალანსის დაცვა სწავლასა და ყველაფერ დანარჩენს შორის. სწავლის ალტერნატივა არამარტო დასვენება, არამედ ის უამრავი აქტივობის შესაძლებლობაა, რასაც ინსტიტუტი იძლევა. ამ ეტაპზე უბრალოდ დრო არ მაქვს, რომ ეს შესაძლებლობები გამოვიყენო, რადგან ძირითადად ვმეცადინეობ.

სალომი პაპაიონი

(2018-2019 სასწავლო წლის საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის სტიპენდიატი, აშშ, მიდლბერის უნივერსიტეტი)

შემთხვევითი ჟურნალისტობა

რედინგის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) სწავლის პერიოდში (2015-2016 წწ.) სრულიად შემთხვევით, (მაგრამ everything happens for a reason!), მომიწია ქალბატონი თამარ ბერუჩაშვილის ელჩად დანიშვნის ცერემონიის საორგანიზაციო საკითხების ნაწილის (იგულისხმება ვიდეო კადრების აღება ბუკინგემის სასახლესთან, ინტერვიუების ჩამორთმევა მოწვეული სტუმრებისთვის და სხვა) მოგვარება და ჟურნალისტის ფუნქციის შესრულება. ამ ისტორიის ძალიან საინტერესო დეტალი ამავე ისტორიაში ჩემი „შემთხვევით“ მოხვედრას. ყველაფერი ასე დაიწყო: ჩემი ყაზახი მეზობელი მატარებლით მგზავრობდა რედინგიდან ლონდონის მიმართულებით. გვერდზე უჯდა რუსულად მოსაუბრე მამაკაცი, რომელიც ვიღაცას ტელეფონით ესაუბრებოდა ქართულენოვანი ჟურნალისტის საჭიროების შესახებ, რომელსაც რატომღაც ვერ პოულობდა. ჩემი მეზობელი გამოელაპარაკა მას და შესთავაზა ჩემი კანდიდატურა. შემდეგ დავუკავშირდი ერთმანეთს. მერე აღმოვჩნდი საქართველოს საელჩოში გასაუბრებაზე ქალბატონ თამართან. მას ვუთხარი, რომ არ მქონდა ჟურნალისტური გამოცდილება, მაგრამ პასუხად მივიღე, რომ ყველაფერს შევძლებდი, ის დარწმუნებული იყო! საბოლოოდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა; დიდი სირთულეების მიუხედავად ავიღეთ საჭირო კადრები და ჩავწერეთ ყველა მნიშვნელოვანი პირი. ასე დაიწყო და დასრულდა ეს ამბავი.

ნიკა ბაბუქაძე

(2015-2016 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდიატი, დიდი ბრიტანეთი, რედინგის უნივერსიტეტი)



სწავლა მულტიკულტურულ გარემოში

საფრანგეთში მარტოს, ფრანგული ენის ცოდნის გარეშე მომიწია სწავლა და ყველაფრისთვის თავის გათმევა. თავდაპირველად საკმაოდ მწელიც აღმოჩნდა, თუმცა საბოლოოდ ამ გამოცდილებამ ბევრი რამ მასწავლა და კიდევ უფრო დამოუკიდებელი გამხადა. ფრანგულ ბიუროკრატიასთან გამკლავების შემდეგ, ყველაფერი ბევრად უფრო სახალისო გახდა.

საკმაოდ მულტიკულტურულ და საინტერესო გარემოში ვსწავლობდი: ჯგუფში 19 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ვიყავით, სხვადასხვა ცოდნითა და გამოცდილებით და გვყავდა აგრეთვე ინტერნაციონალური პროფესორთა გუნდი. ეს საშუალებას გვაძლევდა, სასწავლო პროგრამის გარდა, ერთმანეთისგანაც ბევრი გვესწავლა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ Thomson Reuters-ში საერთაშორისო ვაჭრობის ანალიტიკოსად დავიწეე მუშაობა. პარალელურად ვმონაწილეობ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: ახალგაზრდების ჩართულობის ადვოკატირების ერთწლიან პროექტში. მასში მონაწილეობა სწორედ საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ნანახმა მაღალმა მოქალაქეობრივმა თვითშეგნებამ, ახალგაზრდების აქტიურობამ, თვითმართველობების ინიციატივებმა გადამაწყვეტინა. ამას გარდა, განათლების საერთაშორისო ცენტრის შუამდგომლობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორიც გახლავართ.

ნათია ჩხეტიანი

(2016-2017 წლის საფრანგეთის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, საფრანგეთი, პარიზ-ესტ კრეტეილის უნივერსიტეტი)





პასხალ მენი
საფრანგეთის ელჩი საქართველოში

ფრანგულ-ქართული სასტიპენდიო პროგრამა საფრანგეთის მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამების ნაწილს წარმოადგენს. ყოველწლიურად, 10 000 სტიპენდია გაიცემა მსოფლიოს მასშტაბით 163 ქვეყანაში. ეს პროგრამა, მსოფლიოს ამ კუთხეში, საფრანგეთის სახელმწიფოსა და მეორე ქვეყნის მთავრობის ერთობლივად დაფინანსებული სასწავლო სტიპენდიების იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. ეს ადასტურებს ჩვენი საელჩოს აშკარა ნდობას განათლების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობაში, რომელიც ქვეყანაში ჩვენი ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორია.

ფრანგულ-ქართულ სპეციალურ პროგრამებში უკვე 50-ზე მეტი სტიპენდიაა გაცემული და ამას კიდევ 15 დაემატება მომავალი წლისთვის. საფრანგეთი ამ პროგრამისთვის წელიწადში 100 000 ევროს გამოყოფს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, საფრანგეთის მთავრობისთვის, სტიპენდიების მინიჭების პროცედურების მაქსიმალური გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმია, რასაც განათლების საერთაშორისო ცენტრიც იზიარებს.

შეფასების პროცესი მიმდინარეობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამის დახმარებით, საბჭოს წევრების შერჩევა ერთობლივად ხორციელდება, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი. აღნიშნული

პროგრამის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საფრანგეთის საელჩო ისურვებდა, რომ სტუდენტების შესარჩევ ჟიურში იყოს განათლების სამინისტროს მიერ დანიშნული წარმომადგენელიც.

აღნიშნული პროგრამა საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლობის ცენტრალური სტრატეგიული ელემენტია. ჩვენ აქ იმისთვის ვმონაწილეობთ, რომ მხარი დავუჭიროთ ქართული უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციას სასტიპენდიო პროგრამებისა და, ასევე, ტექნიკური თანამშრომლობის საშუალებით.

აღნიშნულ სფეროში, საფრანგეთის განათლების სამინისტროს ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტომ უკვე გამოთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ მართული უნივერსიტეტების დახმარების პროგრამაში. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სფეროებს: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები (მათ შორის, სამართალი, მართვა, პოლიტიკური მეცნიერებები და საერთაშორისო ურთიერთობები).



ვიკტორია ჰორვატი უნგრეთის ელჩი საქართველოში

საქართველოსა და უნგრეთს შორის ძალზე ახლო ორმხრივი ურთიერთობები არსებობს და განათლება ამ ურთიერთობების ყველაზე სტაბილური და განვითარებადი ნაწილია. უნგრეთის საელჩო ერთგულად ინარჩუნებს ამ ფასეულ პარტნიორობას და მონდომებით აგრძელებს მუშაობას მის კიდევ უფრო განვითარებაზე, როგორც ინსტიტუციურ, ისე პოლიტიკურ დონეზე.

2013 წელს უნგრეთის მთავრობის მიერ დაარსებული „Stipendium Hungaricum“-ის სასტიპენდიო პროგრამის მისიაა, რომ ამაღლდეს უნგრეთის უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობა და ცნობადობა, გაფართოვდეს სამეცნიერო ურთიერთობების სფერო და შენარჩუნდეს მჭიდრო კავშირები ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან.

საქართველოსთან სასტიპენდიო პროგრამის 2014 წლიდან დაწყება ძალზე წარმატებული აკადემიური წლებით და პროექტში დაახლოებით 200 სტუდენტის მონაწილეობით გამოირჩევა. ყველაზე პოპულარული სასწავლო დარგებია ბიზნესი და მართვა, საერთაშორისო ურთიერთობები, სასოფლო სამეურნეო მეცნიერებები, საინჟინრო საქმე და ტექნოლოგიები, აგრეთვე, სახელოვნებო დარგები, განსაკუთრებით, სამუსიკო პროგრამები ფრენც ლისტის სახელობის ჩვენს სახელგანთქმულ მუსიკის აკადემიაში. 2017 წელს გადაწყდა გაცვლითი პროგრამის 2020 წლამდე გაგრძელება. ასევე, „Stipendium Hungaricum“-ის სტიპენდიის მიმღები სტუდენტების რაოდენობა ერთ წელიწადში 50-დან 80-მდე გაიზარდა.

„Stipendium Hungaricum“ პროგრამას რამდენიმე მშობელი ჰყავს. ერთი მათგანი გახლავთ ქალბატონი ნინო ჭელიძე, რომელიც მზრუნველობით და თანმიმდევრულად ეხმარება არა მხოლოდ სასტიპენდიო პროგრამას, არამედ ზოგადად უნგრეთთან განათლების სფეროში თანამშრომლობის იდეასაც. განათლების საერთაშორისო ცენტრი პროგრამის ინტენსიურ კოორდინაციას ახორციელებს და მეტად ეფექტურად უწყობს ხელს ქართველ სტუდენტებს საერთაშორისო განათლებისა და უცხოური გამოცდილების მიღებაში. ვიმედოვნებ, უნგრეთის საელჩოსა და განათლების საერთაშორისო ცენტრს შორის მიმდინარე ეს ერთობლივი პროექტი კიდევ გაგრძელდება და უფრო წარმატებულ თანამშრომლობაში გადაიზრდება.



ანბონიო ანრიკო ბარბოლი იტალიის ელჩი საქართველოში

იტალიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობას ყველა სფეროში შევაფასებდი როგორც პროდუქტიულს და იმედის მომცემს, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო მიმართულებით. იტალიასა და საქართველოს ძირითად უნივერსიტეტებს შორის უკვე წლებია არსებობს თანამშრომლობის ხელშეკრულებები, რომელიც გულისხმობს როგორც ერასმუსის პროექტის ფარგლებში სტუდენტებისა და ლექტორების უცხოეთში გაგზავნას, ისე კონკრეტულ შეთანხმებებს “ერთობლივი” ან “ორმაგი დიპლომების” თაობაზე. იტალიის მთავრობა ყოველწლიურად გასცემს მრავალ სტიპენდიას საუკეთესო ქართველი სტუდენტებისთვის, რომლებსაც გამოავლენს შერეული კომისია. გვინდოდა დამატებითი ნაბიჯი გადაგვედგა. სტიპენდიების უხვი რაოდენობის მიუხედავად (შარშან 66 სტიპენდია გაიცა), ძალიან ბევრი მოთხოვნა შემოდის და მრავალი წარმატებული სტუდენტი მაინც იძულებულია სახლში დარჩეს. IEC-სადა CRUI-ს (იტალიის უნივერსიტეტების ასოციაცია) შორის არსებული შეთანხმების

ფარგლებში, შესაძლებელია გაფორმდეს ცალკეული თანადაფინანსების ხელშეკრულება კონკრეტულ იტალიურ სასწავლებლებთან. უკვე ათამდე ასეთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომელსაც კიდევ სხვაც დაემატება. ეს არის გარდატეხა. საგრძნობლად გაიზრდება როგორც ქართველი სტუდენტების რიცხვი, რომლებიც შეძლებენ მაგისტრატურის ან დოქტურანტურის კურსის გავლას იტალიაში, ასევე სფეროების არჩევანიც.

ამ შეთანხმების მნიშვნელობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მის გაფორმებას 2018 წლის ივლისში ორივე ქვეყნის პრეზიდენტი ესწრებოდა, ხოლო მის დანერგვაზე ქართული და იტალიური უნივერსიტეტებისა და კულტურის წარმომადგენლებმა, ასევე მკვლევრებმა ჩვენს მიერ ორგანიზებული ბიზნეს ფორუმის ფარგლებში გამართულ მრგვალ მაგიდასთან (“განათლება და კვლევა”) იმსჯელეს.

იტალიის საელჩოსა და განათლების საერთაშორისო ცენტრის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყნების ორი ავტორიტეტული ორგანოს – IEC-სა და CRUI-ს მიერ არის ინიცირებული, მისი ამოქმედება ითვალისწინებს IEC-სა და ცალკეულ უნივერსიტეტებს შორის კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმებას. ეს უზრუნველყოფს თანაბარ მონაწილეობას (სტიპენდიები გაიცემა თანადაფინანსებით), რაც თავის მხრივ თავისუფლებას მიანიჭებს სხვადასხვა იტალიურ უნივერსიტეტებს შესთავაზონ სტუდენტებს თავიანთ სასწავლებლებში წარმოდგენილი საუკეთესო სფეროები. ეს ყოველივე კი განაპირობებს შესაძლებლობების ფართო არჩევანს და ასევე იმ აკადემიურ ინსტიტუციებს შორის კონკურენციას, რომლებიც ჩაერთვებიან ამ პროგრამაში.

სტიპენდიების თანადაფინანსების მექანიზმი ასახავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ორივე ქვეყნის უნივერსიტეტებისათვის: საქართველოსთვის სასარგებლო იქნება გაეცნოს ჩვენს აკადემიურ ტრადიციებს და მაღალ დონეზე განვითარებულ სფეროებს, იტალია კი შეძლებს დახვეწოს საუნივერსიტეტო სისტემის ინტერნაციონალიზაციის პროცესი საერთაშორისო სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებით და საშუალება მისცეს საკუთარ სტუდენტებს გააფართოვონ თავიანთი ჰორიზონტი განსხვავებულ კულტურასთან – ევროპასა და აზიას შორის არსებულ ხიდთან დაახლოებით.



თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 7, მეორე სართული
Chavchavadze Avenue 7, II Floor, Tbilisi, Georgia



0322 97 01 97



info-iec@iec.gov.ge



iec.gov.ge